



კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის
საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოსკანონისადა „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა დაწესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2014 წელი
ქ. ბათუმი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება	3
ტექნიკური დავალება	5
ხელშეკრულების პროექტი	8
საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი №1	11

საკონკურსო განცხადება

1. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (მის: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119) აჭარის ა.რ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15-ში მდებარე (ს.კ. 05.25.12.005) მიწის ნაკვეთზე 20000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტია: ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15-ში მდებარე (ს.კ. 05.25.12.005) მიწის ნაკვეთზე 20000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **650000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი)** ლარს.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 04 მარტის 10 საათიდან 2014 წლის 04 მარტის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
5. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 04 მარტის 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა №119 აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
 - 6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
 - 6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
- პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.
8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
15. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით;
- ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- გ) თანხმობა ტექნიკურ დავალებაზე.
- დ) ინფორმაცია გამოცდილების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სპორტული შენობა-ნაგებობების სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

ტექნიკური დავალება

**ქალაქ ბათუმში 20 000 მაყურებელზე ოლიმპიური სტადიონის საპროექტო-სახართაღრიცხვო
დოკუმენტაციის კონკურსის წესით შესყიდვის შესახებ**

საპროექტო ტერიტორიის მოკლე აღწერილობა

საპროექტო ტერიტორია განთავსებულია ქალაქ ბათუმის სამხრეთ ნაწილში, ლეონიძის ქუჩა №15-ში (ს.კ. 05.25.12.005), რომლის ფართობია 84712.0 მ². საპროექტო ტერიტორია მოქცეულია გაგარინისა და ლეონიძის ქუჩებს შორის, რომელსაც მრავალწახნაგოვანი კონფიგურაცია აქვს, მაგრად მირითადად ინარჩუნებს მართვულთხა ფორმატს. ის წარმოადგენს გმირთა ხეივნის სატრანსპორტო ღერძის (ლეონიძის ქუჩის ჩათვლით) მომიჯნავე ტერიტორიას და გადამკვეთი ქუჩების ერთობლიობით ჩამოყალიბებულია მოხერხებული სატრანსპორტო ნაკადების სქემა. ქუჩა უზრუნველყოფილია საინჟინრო კომუნიკაციებით, რომლებიც ფუნქციონირებისა და გამტარუნარიანობა მოითხოვს დამატებით შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების გაცემა მათი სიმძლავრეების გაზრდის შესახებ.

პროექტირების ამოცანები:

- ტერიტორიის ურბანულ-სივრცითი განვითარების დაგეგმვა;
- საზოგადოებრივი სივრცეებისა და სპორტულ-სარეკრეაციო ზონების მოწყობის შექმნა;
- სატრანსპორტო ნაკადების და პარკირების საკითხების რეგულირება;
- ქვეითთა, შეზღუდულშესაძლებლობების მქონე პირთა და ველოსიპედით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისა და ნაკადების ორგანიზება;

ძირითადი მოთხოვნა:

საპროექტო-სამშენებლო მიწის ნაკვეთი (84712.0მ²) განვითარდეს ერთიანი სივრცულ-კომპოზიციური, ანსამბლური კონცეფციის ფარგლებში. სტადიონთან ერთად დაიგეგმოს 3500 მაყურებელზე ძირითადი და 800 მაყურებელზე დამხმარე დახურული ხელბურთის დარბაზის განთავსების ადგილი რომლისთვისაც საპროექტო ტერიტორიას უნდა გაემიჯნოს საორიენტაციოდ 1.5 ჰა მიწის ნაკვეთი (გენეგმაზე ნაჩვენები იქნას დახურული დარბაზების განთავსების სქემა). ტერიტორია კეთილმოეწყოს და განთავსდეს ავტოპარკინგი, გათვალისწინებული იქნას გამწვანების ზონები, რომელშიც შესაძლებელია განთავსდეს სპორტული კომპლექსისა და სარეკრეაციო ზონის ფუნქციონირებისათვის საჭირო მცირე არქიტექტურული ფორმები/პავილიონები. არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. პროექტირების პროცესში

ყურადღება მიექცეს მისი განხორციელების პრაქტიკულობასა და ზომიერ ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს.

სტადიონი უნდა აკმაყოფილებდეს UEFA-სა და FIFA-ს (IV კატეგორია) მოთხოვნებს, ოლიმპიური (სარბენი ბილიკებითა და მძლეოსნობაში საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების შესაძლებლობით, IAAF-ის მოთხოვნებით) ნორმების გათვალისწინებით.

სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შემადგენელი ყველა დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნას ქართულ და ინგლისურ ენაზე.

წარმოდგენილ იქნას სამშენებლო დოკუმენტის პროექტში საპროექტო შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის გამოყენებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი (შიგა და გარე მოპირკეთება, საინჟინრო-კომუნალური ქსელები, ელექტრო-მექანიკური დანადგარები და ა.შ.) მასალებისა და მოწყობილობების სპეციფიკაცია.

კონკურსის მონაწილეობისათვის წარმოსადგენი მასალა (პირველი სტადია).

1. სიტუაციური გეგმა;
2. საპროექტო ტერიტორიის არეალის ურბანული განვითარების სქემა;
მ 1:5000 ან/და 1:2000;
3. სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტა (ესკიზური ვარიანტი, საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების ვირტუალური მოდელი სამ განზომილებაში; შესაძლებელია მაკეტიც. მასშტაბი შეხედულებისამებრ);
4. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმისა და შენობა-ნაგებობების გეგმარებითი სქემა;
5. ტერიტორიის ფუნქციური ორგანიზებისა და სატრანსპორტო ნაკადების სქემა;
6. ინფორმაცია საპროექტო წინადადების ეკონომიკურობისა და ექსპლუატაციის ეფექტურობის შესახებ;
7. ინფორმაცია წარმოდგენილი საპროექტო წინადადების UEFA-ს, FIFA-სა და IAAF-ის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ;
8. პროექტის განმარტებითი ბარათი A-4 ფორმატის არაუმეტეს 5 გვერდისა (ფონტის ზომა 12, ინტერვალი 1.5);
9. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენიდან თარგმანის შემთხვევაში, ნათარგმნი ტექსტის სისწორე დამტკიცებული უნდა იყოს ნოტარიულად.
10. წარმოდგენილი საპროექტო წინადადება მოწოდებულ იქნას A-2 ზომის ალბომის სახით 5 ეგზემპლარად, CD-ზე დატანილი ალბომის შესაბამისი ელექტრონული ვერსიით (PDF ფორმატში).

საკონკურსო შეფასების კრიტერიუმი: 10 ქულა.

- | | |
|---|-----|
| 1. საპროექტო ტერიტორიის ურბანული განვითარებისა და სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტის სქემა----- | 5.0 |
| 2. საპროექტო წინადადების ეკონომიურობა და განხორციელების პრაქტიკულობა ----- | 1.0 |
| 3. წარმოდენილი საპროექტო სამუშაოს ფასი ----- | 1.0 |
| 4. კვალიფიკაცია და გამოცდილება ----- | 3.0 |

კონკურსში გამარჯვებულთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ აგრძელებს და „შემსყიდველს“ აბარებს სამშენებლო დოკუმენტის პროექტს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

კონკურსანტი ვალდებულია საკონკურსო წინადადება წარმოადგინოს კონკურსის გამოცხადებიდან ორი თვის ვადაში:

საკონკურსო კომისიამ გადაწყვეტილება მიიღოს საკონკურსო წინადადებების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღეში;

კონკურსში გამარჯვებულმა საბოლოო პირობებით ტექნიკური დავალების საფუძვლზე წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის განმავლობაში;

სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შემადგენლობა:

სამშენებლო დოკუმენტაციის პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებს შესაბამისი შენობა-ნაგებობის კლასის მიხედვით.

„საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის N45 დადგენილებით და „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით განსაზღვრულ პირობებთან. შესაძლებელია პროექტირებისას გამოყენებულ იქნას შენობა-ნაგებობების საერთაშორისო კოდექსი (2012 წელი).

სამშენებლო დოკუმენტი დამუშავდეს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისად.

წარმოდგენილი იქნას შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც დამატებით უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა (პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან თანხვედრისა და განფასების ნაწილში);

წარმოდგენილი იქნას კონსტრუქციული და საჭიროებისამებრ ტექნოლოგიური პროექტები შესაბამისი საექსპერტო დასკვნით;

წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა შესაბამისი საექსპერტო დასკვნით;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ტექნიკური მასალები, სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები, მომსახურების აღწერილობა და სხვა უნდა ასახავდეს სამუშაოების ობიექტურ-ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში მოქმედ ყველა ნორმებსა და წესებს, მოთხოვნებს, ტერმინოლოგიასა და პირობით აღნიშვნებს;

საკვლევ-სამიებო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხა-რისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმება, გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფისა და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას;

ტექსტური ნაწილის შემადგენლობა:

- განმარტებითი ბარათი;
- საპროექტო ტერიტორიის ურბანული განვითარების აღწერილობა;
- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
- გრაფიკული მასალის მოკლე აღწერა;

დამატებითი გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა:

- ✓ დეტალური დაგეგმარების სქემა;
- ✓ საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების ვირტუალური მოდელი სამ განზომილებაში;
- ✓ შესაძლებელია ფრაგმენტების დეტალური (დაგეგმარება, ვიზუალიზაცია) დამუშავების მასალის წარმოდგენა;
- ✓ საფეხმავლო გზების, ბილიკებისა და საზოგადოებრივი სივრცეების გეგმა;
- ✓ სატრანსპორტო კომუნიკაციების გეგმა;
- ✓ ავტორის ჩანაფიქრის უკეთ წარმოსადგენად შესაძლებელია ნებისმიერი ფორმატითა და ტექნიკური საშუალებებით დამატებითი მასალების წარმოდგენა;
- ✓ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება მოწოდებულ იქნას 5 ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, PDF ფორმატში.

დიზაინი (შიდა სივრცეებისა და გარსის მოპირკეთება)

- სართულების გეგმა (იატაკი, ჭერი, კედლები, ნიშები, კარ-ფანჯრები და სხვა.)
- სანიტარული და სველი წერტილების გეგმა
- განათების დეტალები
- ფერის და მასალების დეტალები
- საჭიროების შემთხვევაში დეტალური გეგმები და დიზაინი
- ფერის სქემა ყველა ზედაპირისთვის, მასალისა და ფერის ჩვენებით

დიზაინი (ავეჯი) და გრაფიკა:

- შიდა დიზაინის ნახაზი - რომელზეც აღნიშნულია შერჩეული ადგილმდებარეობა/განლაგება ისეთი ადგილებისათვის როგორებიცაა:
- VIP დარბაზი
- VIP ოფისი
- მომხმარებლისათვის ორიენტაციის მიმანიშნებელი წარწერები შიდა და გარე პერიმეტრზე.

მექანიკური სისტემების პროექტი

- ვენტილაციის პროექტი
- კონდიცირების პროექტი
- გათბობის პროექტი
- სანიტარული სისტემის მოწყობა/მონტაჟი
- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა
- სადრენაჟო სისტემის პროექტი
- Storm Network-მხოლოდ შენობაში

ელექტრო სისტემების პროექტი

- დადგმული და მოთხოვნილი ელექტროენერგიის სიმძლავრის განსაზღვრა
- ელექტრომომარაგების შიგა ქსელის პროექტს (ავტომატური ამომრთველ/გამთიშველებით დაკომპლექტებული ძაბვის შემყვანი ძალოვანი გამანაწილებელისა და მრიცხველი/ების კარადების გათვალისწინებით.);
- ძირითადი განათების პროექტი
- მოედნის განათების პროექტი
- სინათლის კონტროლის სისტემის პროექტი
- აუდიო სისტემის პროექტი
- დამიწების პროექტი
- ავარიული გამორთვისას უწყვეტი ელექტრო ენერგიის მიწოდების პროექტი
- სატელეფონო ხაზის პროექტი
- სატელევიზიო, საკაბელო და რადიო ანტენის სისტემის პროექტი
- „live sound“ სისტემის პროექტი
- სახანძრო განგაშის სისტემის პროექტი
- შეტყობინების (პეიჯინგი) სისტემის პროექტი
- დაცვისა და უსაფრთხოების პროექტი
- ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის პროექტი
- ავტომატიზაციის სისტემის პროექტი- (BMC) შენობის მართვის სისტემა
- საინფორმაციო პანელის სისტემის პროექტი
- ენერგომომარაგების კონტროლისა და გაუმართავობის შეტყობინების პროექტი
- ინტერნეტისა და მათ შორის Wifi-ს სისტემების პროექტი
- რადიო-სატელევიზიო სტუდია
- ტაბლოების პროექტი

- სტადიონის შენობის ღამის განათების პროექტი

მოთხოვნები სტადიონზე მძლეოსნობის მოედნის მოწყობის შესახებ

1. სარბენი ბილიკიბე- 8 ბილიკი (შესაძლებლობის შემთხვევაში 9 ბილიკი)
2. სახტომი სექტორი- ჭოკით ხტომა;
 - სიმაღლეზე ხტომა;
 - სიგრძეზე ხტომა;
 - სამხტომის ორმო.
3. სატყორცნი სექტორი- ბირთვის კვრა;
 - შუბის ტყორცნა;
 - ბადროსა და უროს ტყორცნა.
4. წინაღობებით რბენა- წინაღობებით რბენის ორმო
 - თარჯობენში მამაკაცებისათვის, გასათვალისწინებელია ცალკე 110 მ დისტანციის ბილიკები.

ძირითადი პარამეტრების გამოთვლა

- მაყურებელთა რაოდენობიდან გამომდინარე სტადიონზე შესასვლელთა, სალაროების, სველი წერტილების, კვების ობიექტებისა და სხვა საკითხების პროპორციული დაანგარიშება
- საგანგებო შემთხვევაში სტადიონიდან ევაკუაციის სქემა
- სპორტსმენთა რაოდენობიდან გამომდინარე გასახდელების და სავარჯიშო-სატრენაჟორო დარბაზების რაოდენობის გამოთვლა, გასათვალისწინებელია რომ სტადიონის მომხმარებელი იქნება როგორც საფეხბურთო გუნდები ასევე მძლეოსან სპორტსმენთა გუნდები.
- პრესის წარმომადგენლების, VIP სტუმრების რაოდენობის გაანგარიშება და შესაბამისად VIP დარბაზების, საკონფერენციო დარბაზებისა და იზოლირებული შესასვლელების გამოთვლა
- მოძრაობის სქემის ორგანიზება, რათა განისაზღვროს დამოუკიდებელი შესასვლელები პრესისთვის, VIP სტუმრებისთვის, სპორტსმენებისათვის და მაყურებლებისათვის

P.S.- აღნიშნული პუნქტების გარდა პროექტირებისათვის გათვალისწინებულ იქნას სხვა ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც ითვალისწინებს UEFA-ს, FIFA-სა და IAAF-ის სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაცია:

სათამაშო მოედანი მოეწყოს ბუნებრივი საფარით, გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი კლიმატური (ჭარბი ნალექები) პირობები და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს როგორც სათამაშო მოედნის, ასევე საპროექტო ტერიტორიის დრენაჟირებისა და წყალანირების სისტემების პროექტირებას.

ტრიბუნები გადაიხუროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საპროექტო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს პერსპექტივაში მაყურებელთა ადგილების გაზრდის შესაძლებლობას.

ტრიბუნების ქვეშ თავისუფალი სივრცეები დამატებით გამოყენებულ იქნას საჯარო (მუზეუმი, საგამოფენო დარბაზი და სხვა.) და კომერციული დანიშნულებისათვის.

სამშენებლო დოკუმენტის პროექტში ცვლილება:

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი წერილობით თანხმდება შემსყიდველთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს მიმწოდებელი. თუ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შესატანმა ცვლილებებმა მოახდინა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაზრდა და სამშენებლო სამუშაოების შეჩერება, შემსრულებელი დაჯარიმდება შესასყიდი სამუშაოს საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით და დოკუმენტაციაში შესწორება მოხდება ანაზღაურების გარეშე.

ა) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის ხარის-ხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

2.2.4. კუთვნილება:

- ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული წებისმიერი შესწავლა, ანგარიში, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;
- მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესას-რულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;
- მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის ნაწილის ან სრული მოცუ-ლობის ელექტრონული ვერსია.

2.2.5. საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა:

- მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯ-თაღრიცხვო დოკუმენტაცია 5 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებო-დეს 7 მეგაბაიტს.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება N

ქ. ბათუმი,

..... 2014 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, მინისტრის დავით ბალაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ სახით (შემდგომში მიმწოდებელი), N----კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71300000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1. შესყიდვის ობიექტია: -----
- 1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს .

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 2.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 19 ივნისის N290 ბრძანებით შექმნილი საპროექტო სამიერო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

- 3.1. მიმწოდებელი ვალდებულია წინასაპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგინოს ტექნიკური დავალების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 2014 ----.
- 3.2. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ბეჭდური სახით 5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება—ჩაბარების წესი

- 4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება—ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება—ჩაბარების აქტის გაფორმებით.
- 4.2. მიღება—ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორება

- 5.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
- 5.2. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- 5.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 5.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

6. ფასები

- 6.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 6.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
- 6.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
- 6.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით ადგენილი შემთხვევებისა.
- 6.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელკშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

- 8.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

- 9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტებლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზანების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

- 12.1. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- 12.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

13. გამოყენებული სამართალი

- 13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

- 14.1. ხელშეკრულება შედგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება

მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. გადასახადები და დაბეგვრა

- 15.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
- 15.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2014 წლის ჩათვლით.

17. სხვა პირობები

- 17.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 17.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეპზიტები

<u>„შემსყიდველი“</u>	<u>„მიმწოდებელი“</u>
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	
ტელ: (422) 27-35-10	ტელ:
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	
ბანკის კოდი – LBRTGE22	
ა/ნ – GE88LB0121162303587000	
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	
მინისტრი:	
_____ /დ. ბალაძე/ ბ. ა.	

საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
4. კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:
8. მომსახურე ბანკის დასახელება:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშის ნომერი:
11. საკონკურსო წინადადების ფასი:

კონკურსანტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი _____

შენიშვნა: მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და შეჭედდასმული.